საჯარო სამართლის იურიდიული პირი _
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება №01-02/76

ქ. ბათუმი 31 მარტი, 2022 წ.

,,ბსუ-ს 2021-2022 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარის ცვლილების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 1 ოქტომბრის N01-02/167 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, **„იზოლაციისა და კარანტინის წესების** დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილების, ,,სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID 19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის N01-227/ო ბრძანების, **,,ბსუ-ში ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესის** დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 22 ოქტომბრის N01-02/187 ბრძანების, ,,ბსუ-ს 2021-2022 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარის ცვლილების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 1 ოქტომბრის N01-02/167 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 1 მარტის N01-02/58 ბრძანების და სტუდენტთა განცხადებების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ,,ბსუ-ს 2021-2022 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარის ცვლილების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 1 ოქტომბრის N01-02/167 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ, ბრძანების N1 დანართს (2021-2022 სასწავლო წლის კალენდარი) დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 პუნქტი:
   ,,1^1. **სასწავლო პროცესის დეპარტამენტი** (სტუდენტთა ელექტრონული სერვისების მართვის სამსახური) **უფლებამოსილია არაუგვიანეს 2022 წლის 4 აპრილისა** განახორციელოს გაზაფხულის სემესტრისათვის სტუდენტთა აკადემიური რეგისტრაციის გავლის პროცესში დაშვებული ხარვეზების გასწორება, სტუდენტთა განცხადებების საფუძველზე.“;
2. წინამდებარე ბრძანების აღსრულების კონტროლი განახორციელოს რექტორის მოადგილემ (ა. ბერიძე).

3. წინამდებარე ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ასევე ველში ,,აკადემიური კალენდარი“) და სტუდენტური პორტალის მეშვეობით ეცნობოს ბსუ-ს სტუდენტებს.
4. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (ა. ბერიძე), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ფაკულტეტებს, ,,ელექტრონული სწავლების მართვის ჯგუფის წევრებს“, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს და იურიდიულ დეპარტამენტს.
5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობითი დადგენილი წესით, მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. N30).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**